საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია

ბრძანება № 6/7

ქ.თბილისი

„29" ივნისი 2016 წ.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარის 2015 წლის 18 მაისის №6/12 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარის 2015 წლის 18 მაისის №6/12 ბრძანებაში შევიდეს შემდეგი ცვლილებები:

1.1. ბრძანების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ინტერნეტის მომსახურების ხარისხის უზრუნველსაყოფად, შესაბამისი სამოქმედო გეგმის შემუშავების და შემდგომ მისი განხორციელების მიზნით, შეიქმნას სამუშაო ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

ა) ირინე ვერძეული - კომისიის აპარატის სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი (ჯგუფის ხელმძღვანელი);

ბ) რატი სხირტლაძე - კომისიის აპარატის ინფორმაციულ-ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსი;

გ) ალეკო ღლონტი - კომისიის აპარატის ინფორმაციულ-ანალიტიკური დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი;

დ) რევაზ სვანიძე - კომისიის აპარატის ინფორმაციულ-ანალიტიკური დეპარტამენტის წამყვანი სპეციალისტი;

ე) მარიამ სულაბერიძე - კომისიის აპარატის სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის მთავარი სპეცალისტი;

ვ) ქეთევან რეხვიაშვილი - კომისიის აპარატის სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის მთავარი სპეცალისტი;

ზ) რომან ქურდაძე - კომისიის აპარატის რადიო სიხშირეთა მართვის დეპარტამენტის წამყვანი სპეციალისტი".

1.2. ბრძანების მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. ამ ბრძანების პირველი პუნქტით შექმნილი სამუშაო ჯგუფის უფლებამოსილების ვადად განისაზღვროს 2016 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდი";

1.3. ბრძანების მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. კონტროლი აღნიშნული ბრძანების შესრულებაზე დაევალოს კომისიის აპარატის სტრატეგიულ დეპარტამენტს (ი. ვერძეული)";

2. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე;

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ.თბილისი საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ.თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ., №6) ერთი თვის ვადაში.

კომისიის თავმჯდომარე ვახტანგ აბაშიძე